პრეზიდენტი
თომას ს. მონსონის მიერ

ემსახურე უფალს სიყვარულით

უფალი, იესო ქრისტე, გვასწავლიდა: „ვინაიდან, ვისაც სურს თავისი სული იხსნას, იგი დაღუპავს მას. ხოლო ვინც ჩემი გულისთვის დაღუპავს მას, იგი იხსნის მას“ (ლუკა 9:24).

“მე მჯერა“, – ბრძანა პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა, რომ „მხსნელი გვეუბნება: თუკი არ დაივიწყებთ საკუთარ თავს სხვებისთვის მსახურებაში, ჩვენი ცხოვრების დანიშნულება ძალიან უმნიშვნელო იქნება. ისინი, ვინც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობენ, საბოლოოდ პატარავდებიან და მხატვრულად რომ ვთქვათ, კარგავენ საკუთარ სიცოცხლეს, იმ დროს როცა ისინი, ვინც სხვების მსახურებაში კარგავენ საკუთარ თავს იზრდებიან და ყვავიან და ფაქტიურად იხსნიან საკუთარ სიცოცხლეს“.[1]

ქვემოთ მოყვანილ ამონარიდში პრეზიდენტ მონსონის გამოცდილებიდან, იგი ახსენებს უკანასკნელი დღეების წმინდანებს, რომ ისინი წარმოადგენენ უფლის ხელებს და რომ მარადისობის კურთხევები ელიან მათ, ვინც ერთგულად ემსახურებიან სხვებს.

ტაძარში მსახურება

„ჩვენ, ჩანაცვლებითი წეს-ჩვეულებების ჩატარების დროს, დიდ მსახურებას ვუწევთ მათ, ვინც იმ ქვეყნად იმყოფებიან. მრავალ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცნობთ მათ, ვისთვისაც ვასრულებთ ამ სამუშაოს. ჩვენ არ ველით მადლობას, არც იმაში ვართ დარწმუნებულნი, რომ ისინი მიიღებენ იმას, რასაც ჩვენ მათ ვთავაზობთ. მაგრამ ჩვენ მაინც ვეწევით მსახურებას და ამ პროცესში ჩვენ ვაღწევთ იმას, რაც არც ერთი სხვა მცდელობით არ მიიღწევა: ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობით ვხდებით მხსნელნი სიონის მთაზე. როგორც უფალმა შეწირა საკუთარი სიცოცხლე ჩვენთვის, ჩამნაცვლებელი მსხვერპლის სახით, ასევე ჩვენც, მცირე ზომით, იმავეს ვაკეთებთ, როდესაც ტაძარში ვატარებთ შემცვლელ სამუშაოს მათთვის, ვისაც არ აქვთ წინსვლის საშუალება,თუკი ვინმე დედამიწაზე მცხოვრები რაიმეს არ მოიმოქმედებს მათთვის”.[2]

ჩვენ ვართ უფლის ხელები

ჩემო დებო და ძმებო, ჩვენს ირგვლივ იმყოფებიან ისინი, ვინც საჭიროებენ ჩვენს ყურადღებას, შეგულიანებას, მხარდაჭერას, ნუგეშს, სიკეთეს, არიან ესენი ოჯახის წევრები, მეგობრები, ნაცნობები თუ უცნობები. ჩვენ აქ, დედამიწაზე, უფლის ხელებს წარმოვადგენთ და გვაქვს დავალება – ვემსახუროთ უფლის შვილებს და ავამაღლოთ

ისინი. იგი თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული. . . .

„მსახურება, რომლისკენაც ყველანი ვართ მოწოდებულნი, არის უფალი იესო ქრისტეს მსახურება“.[3]

უფლის ჩრდილში მსახურება

აღმდგარმა უფალმა იქადაგა ახალ კონტინენტზე: თქვენ იცით, რაც უნდა აკეთოთ ჩემს ეკლესიაში; რამეთუ ის, რასაც მე ვაკეთებდი, თქვენც უნდა გააკეთოთ; ჩემი საქმენი თქვენც უნდა გააკეთოთ. [3 ნეფი 27:21].

„ჩვენ, ‘ნაზარეველი იესოს’ ჩრდილში მსახურებისას . . . ‘რომელიც დადიოდა და ქველმოქმედებდა’ , სხვებს ვლოცავთ [საქმეები 10:38]. ღმერთმა დაგვლოცოს, მამაზეციერისთვის მსახურებისას ვიპოვოთ სიხარული, როცა ჩვენ მის შვილებს ვემსახურებით დედამიწაზე“.[4]

მსახურების საჭიროება

„ჩვენ უნდა მოგვეცეს მსახურების შანსი. იმ წევრებისათვის, რომლებიც აქტიურობას გაურბიან ან თავს იკავებენ დაპირებების შესრულებისგან, ჩვენ ლოცვით უნდა ვეძიოთ იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც მივწვდებით მათ. როცა მათ რაიმეში მსახურებას ვთხოვთ, ეს შეიძლება გახდეს ის სტიმული, რომელიც მათ სრული აქტიურობისკენ შემოაბრუნებს. მაგრამ ის ხელმძღვანელები, რომლებსაც შეუძლიათ ამ მიმართულებით დახმარების გაწევა, ზოგჯერ არ იჩენენ ამის სურვილს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანები იცვლებიან. მათ შეუძლიათ უარი თქვან ცუდ ჩვევებზე. მათ შეუძლიათ მოინანიონ ცოდვები. მათ შეუძლიათ, ღირსეულად ატარონ მღვდლობა და ბეჯითად ემსახურონ უფალს“.[5]

ყველაფერს ვაკეთებთ, რასაც უნდა ვაკეთებდეთ?

„მსოფლიოს სჭირდება ჩვენი დახმარება. ვაკეთებთ ჩვენ ყველაფერს, რაც შეგვიძლია? გვახსოვს ჩვენ, პრეზიდენტ ჯონ ტეილორის სიტყვები: „თუ თქვენ არ განადიდებთ თქვენს მოწოდებებს, ღმერთი პასუხს მოგთხოვთ იმაზე, ვისი ხსნაც შეგეძლოთ, თქვენი მოვალეობა რომ შეგესრულებინათ“? [*Teachings of Presidents of the Church: John Taylor* (2001), გვ.164]. არსებობს ფეხები, რომლებიც უნდა გავაძლიეროთ, ხელები, რომლებსაც უნდა ჩავეჭიდოთ, გონება, რომელიც უნდა წავაქეზოთ, გულები, რომლებიც უნდა შთავაგონოთ და სულები, რომლებიც უნდა გადავარჩინოთ. თქვენ მარადისობის ლოცვა-კურთხევები გელით. თქვენ გეძლევათ პრივილეგია, იყოთ მსახურების . . . სცენაზე არა მაყურებელნი, არამედ მონაწილენი“.[6]

შენიშვნები

1. „ვის რა ვარგე დღეს“?*ლიახონა,* ნოემბერი 2009, 85.
2. “Until We Meet Again,” *ლიახონა,* მაისი 2009, 113–14.
3. „ვის რა ვარგე დღეს“? 86, 87.
4. „უფლის მოწოდება მსახურებისთვის“*ლიახონა,* აგვისტო 2012, 5.
5. “See Others as They May Become,” *ლიახონა,* ნოემბერი 2012, 68.
6. “Willing and Worthy to Serve,” *ლიახონა,* May 2012, 69.
7. *Teaching, No Greater Call: A Resource Guide for Gospel Teaching* (1999), 12

ამ მოწოდების სწავლება

„თუ ქრისტესმიერი სიყვარული გაგაჩნიათ, თქვენ უკეთ იქნებით მომზადებულნი სახარების სწავლებისთვის.[7] თქვენ მიიღებთ შთაგონებას დაეხმაროთ სხვებს, შეიცნონ უფალი და მიჰყვენ მას. ილოცეთ მომატებული მოწყალებისთვის მათ მიმართ, ვისთანაც სტუმრობთ. მათ მიმართ ქრისტესმიერი სიყვარულის განვითარებით თქვენ უკეთ შეძლებთ მნიშვნელოვან მსახურებას უფლისთვის და მათთვის, ვისაც ასწავლით.

ახალგაზრდები

ზაფხულის მსახურება

ელიზაბეთ ბლაითის მიერ

ერთი ზაფხული მე უცხო ქვეყანაში გავატარე; იქ მე უნარშეზღუდულ ბავშვებთან ვმუშაობდი. როცა პირველად შევხვდი ამ ბავშვებს, ძალიან ვნერვიულობდი. მე მათი ენა არ ვიცოდი, მაგრამ მჯეროდა, რომ მათთან ურთიერთობაში სულიწმინდა გამიძღვებოდა წინ. როცა თითოეულ ბავშვს გავეცანი მივხვდი, რომ ენა სულაც არ წარმოადგენდა სიყვარულისთვის ბარიერს. მე ვთამაშობდი, ვიცინოდი, ხელსაქმით ვიყავი მათთან დაკავებული და მათ მიმართ სრულ სიყვარულს ვგრძნობდი. მე ამით ცოტათი ვიგრძენი მამაზეციერის სიყვარული თავისი შვილების მიმართ და სიტყვებით აღუწერელი სიხარული.

როცა კი სხვებს ვემსახურები, მე ვგრძნობ სიყვარულს არა მხოლოდ მათ მიმართ, ვისაც მსახურებას ვუწევ, არამედ მამაზეციერის მიმართაც. მე დანამდვილებით ვიცი, რომ მოყვასის მსახურებით ჩვენ ღმერთს ვემსახურებით (იხ.მოსია 2:17). ჩემი მსახურების მიზანია, იქნება ეს დიდი მასშტაბის მსახურება თუ პატარა კეთილი საქმე, ვადიდო ღმერთი (მათე 5:16). იმედი მაქვს, რომ ჩემი სხვებისთვის მსახურებისას ადამიანები ამოიცნობენ მამაზეციერის მიერ ჩემს სიყვარულს და ქრისტეს სინათლეს, რომელიც გიზგიზებს ჩემში.

ავტორი ცხოვრობს ვირჯინიაში, აშშ.

ბავშვები

სიყვარულის ჯაჭვი

სთხოვეთ ვინმე მოზარდს, დაგეხმაროთ ქაღალდის 28 წვრილი ზოლის ამოჭრაში, დაახლოებით 2.5 სმ სიგანისა და 20 სმ სიგრძის. ყოველ დღე, ამ თვის განმავლობაში, ჩაატარეთ მსახურების აქტი, ამ პიროვნების მიმართ თქვენი სიყვარულის გამოსახატავად. შეიძლება დაეხმაროთ მშობლებს სახლის დალაგებაში ან მისწეროთ მეზობელს სასიამოვნო ბარათი.

ყოველ ზოლზე დაწერეთ, თუ როგორ ემსახურებოდით სხვებს ყოველი დღის განმავლობაში და შემდეგ დააწებეთ ან სტეიპლერით შეაერთეთ ზოლის ბოლოები რგოლის მისაღებად. თქვენ შეგიძლიათ გაუყაროთ ახალი ზოლი მზა რგოლს და შეაერთოთ ახალი ზოლის ბოლოები. შეხედეთ, როგორ გაიზრდება თქვენი სიყვარულის ჯაჭვი! თქვენ შეგიძლიათ გააგრძელოთ მსახურების რგოლების დამატება თებერვლის გასვლის შემდეგაც კი.

© 2014 by Intellectual Reserve, Inc.ყველა უფლება დაცულია.
დაბეჭდილია გერმანიაში.ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. *First Presidency Message, February 2014.* Georgian.10862 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: მწყემსი კეთილი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ ამ მასალიდან სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: მწყემსი კეთილი, გვასწავლიდა:

„რომელიმე თქვენგანს რომ ასი ცხვარი ჰყავდეს და ერთი დაეკარგოს, განა არ დატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს უდაბნოში და არ წავა დაკარგულის საძებრად, ვიდრე არ იპოვის? . . .

„თქვენ გეუბნებით, რომ . . . სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო, რომელმაც მოინანია“ (ლუკა 15:4, 7).

როცა მივალთ იმის გაგებამდე, რომ იესო ქრისტე არის მწყემსი კეთილი, ჩვენი სურვილი – მივყვეთ მის მაგალითს და ვემსახუროთ გაჭირვებულებს, გაიზრდება. იესომ თქვა: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე. . . . ჩემს სულს ვდებ ცხვართათვის“. (იოანე 10:14–15). ქრისტეს გამოსყიდვის გამო არც ერთი არ დაიკარგება ისე, რომ სახლისკენ მიმავალი გზა ვერ ვიპოვოთ (იხ. ლუკა 15).

პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა თქვა: „ჩვენი მოვალეობაა – მოვუაროთ ფარას. . . . დაე თითოეულმა ჩვენგანმა წინ გადმოდგას ნაბიჯი მსახურებისთვის“.[1]

წმინდა წერილიდან

ფსალმუნები 23; ესაია 40:11; მოსია 26:21

ჩვენი ისტორიიდან

ელიზაბეთ ენ უიტნიმ, რომელიც ესწრებოდა მოწყალების საზოგადოების პირველ შეკრებას, ასე ილაპარაკა საკუთარ მოქცევაზე 1830 წ: „როგორც კი მოვისმინე უხუცესებისგან სახარება, მე ვიცოდი, რომ ეს კეთილი მწყემსის ხმა იყო“. [2] ელიზაბეთი მიჰყვა კეთილი მწყემსის ხმას, მოინათლა და წევრად დამტკიცდა.

ჩვენც შეგვიძლია კეთილი მწყემსის ხმის გაგონება და მისი სწავლების გაზიარება. პრეზიდენტმა მონსონმა ბრძანა: „ჩვენ ვართ უფლის ხელები აქ, დედამიწაზე და გვაქვს დავალება – ავამაღლოთ მისი შვილები.“[3]

ისევე, როგორც მწყემსი ეძებს დაკარგულ ცხვარს, მშობლებსაც შეუძლიათ გზიდან გადახვეული შვილის ძებნა. პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა ჯეიმს ე. ფაუსტმა, თქვა: „იმ გულგატეხილ მშობლებს, რომლებიც იყვნენ მართალნი, ბეჯითნი და ურჩი შვილების განსწავლისთვის ლოცულობდნენ, ჩვენ ვეუბნებით, რომ მათ კეთილი მწყემსი უყურებთ. ღმერთმა იცის მათი ღრმა მწუხარების შესახებ და ესმის იგი. არსებობს იმედი.“[4]

შენიშვნები

1. Thomas S. Monson, “Heavenly Homes, Forever Families,” *ლიახონა,* ივნისი 2006, 70.
2. Elizabeth Ann Whitney, in *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 128.
3. James E. Faust, “Dear Are the Sheep That Have Wandered,” *ლიახონა,* მაისი 2003, 68.
4. James E. Faust, “Dear Are the Sheep That Have Wandered,” *ლიახონა,* მაისი 2003, 68.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში სიმშვიდე იმის ცოდნას, რომ მხსნელი არის მწყემსი კეთილი?

2. როგორ შეგვიძლია ვემსახუროთ მათ, ვინც „დაკარგულნი“ არიან ეკლესიური აქტიურობისთვის ან მათ, ვინც ჩვენი რწმენის არ არიან?

3. როგორ შემიძლია მხარი დავუჭირო იმ მშობლებს, რომელთა შვილებმაც სახარებით ცხოვრების გზიდან გადაუხვიეს?

© 2014 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13.
თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. *Visiting Teaching Message, February 2014.* Georgian.10862 131